ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02.37221431**
თარიღი:**23/05/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის“ კომისიამ, შეისწავლა და განიხილა ქ.ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის, I ჩიხის მაცხოვრებლების კოლექტიური განცხადება, აღნიშნულ ჩიხში ინფრასტრუქტურული სამუშაოების საჭიროების შესახებ. კომისიის სამუშაო ჯგუფმა ადგილზე გასვლით, შეისწავლა აღნიშნულ განცხადებაში მოცემული წინადადების განხორციელების მიზანშეწონილობა და დაადგინა:

1. ქ. ოზურგეთში, აღნიშნული ტერიტორიის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის I ჩიხი მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ უბანში, (მე-2 საჯარო სკოლის მიმდებარედ).

2. ჩიხში მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, როგორიცაა: გზის საფარი, სანიაღვრე არხი და ა.შ.. ნალექიან ამინდში ფაქტიურად შეუძლებელია ქვეითად მოსიარულეთა გადაადგილება.

3. ჩიხის მიმდებარედ, ცენტრალურ ქუჩაზე ძირითადი ინფრასტრუქტურა, როგორიცაა გზის საფარი, სანიაღვრე არხი, გარე განათება და ა.შ. მოწესრიგებულია და დარჩენილია მხოლოდ აღნიშნული ჩიხის ტერიტორია, რომელიც არის დაახლოებით 70მ.

4. კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ქალაქ ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის I ჩიხის ტერიტორიაზე აუცილებელია გზის საფარის მოწესრიგება, სანიაღვრე არხის მოწყობა, რაც უზრუნველყოფს პირველ რიგში ადილობრივ მაცხოვრებელთა უსაფრთო გადაადგილებას, განსაკუთრებით ნალექიან ამინდში და ასევე მნიშვნელოვნად გააუბჯესებს ქალაქის იერსახეს.

2. ეთხოვოს ოზურგეთის მინუციპალიტეტის მერს, შესაბამის სამსახურებს დაავალოს კონკრეტული წინადადების და რეკომენდაციების მომზადება ქალაქ ოზურგეთში, გაბრილე ეპისკოპოსის ქუჩის I ჩიხის ინფრასტრუქტურის (გზის საფარი, სანიაღვრე არხი) მოწყობის მიზანშეწონილობის შესახებ.

3. მუნიციპალიტეტის მერიამ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ საკრებულოსა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი